

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება

საქართველო, ქ. თბილისი
2019 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. საქმიანობის ანგარიში
3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.
4. კომპანიის განვითარების პერსპექტივები

1. დირექტორის მიმართვა



შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“ LTD „Blauenstein Georgia“

შპს „DLT-A აუდიტი“-ის დირექტორს

ბატონ თამაზ აბუსერიძეს

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს ს/კ 237978364

დირექტორის მიმართვა

ქართულ-შვეიცარიული კომპანია შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“ 2008 წელს შეიქმნა რაჭის რეგიონში.

პროექტს 2 მთავარი მიზანი ჰქონდა:

1. შვეიცარიული, მთის ჯიშების შვიცისა და სიმენტალის რაჭის პირობებისათვის მორგება
2. ნატურალური, ჯანსაღი ხორცისა და ხორცპროდუქტების შექმნა.

ამჟამად კომპანიის ჯაჭვი 4 რგოლისგან შედგება, სათაო ფერმები; პარტნიორი ფერმები; ხორცის პირველადი დამუშავების საწარმო (სასაკლაო) რაჭაში, საფირმო მაღაზიები თბილისში-წერეთლის 67-სა და ფალიაშვილის 67 ში.

სათაო ფერმა ერთგვარი სასწავლო ცენტრია, სადაც შვეიცარიელი ინსტრუქტორები რეგულარულად ატარებენ სწავლებებს ვეტერინარიის, ხელოვნური განაყოფიერების, აგრონომიის, პირუტყვის კვების, თივის წარმოებისა თუ საწარმოო ჰიგიენის თემებზე.

შვეიცარიელი პროფესიონალების მიერ გადამზადებული ქართველი ინსტრუქტორები თავის მხრივ ცოდნასა და გამოცდილებას რეგიონში არსებულ პარტნიორ ფერმერებს გადასცემენ.

ფერმაში ხელოვნური განაყოფიერების გზით ხდება შვიცისა და სიმენტალის ჯიშების მიღება. გაყინული მასალა შვეიცარიიდან შემოდის და ადგილობრივ საქონელზე ხდება შეჯვარება.



შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“ LTD „Blauenstein Georgia“

ეტაპობრივად მისვლა სუფთა ჯიშამდე უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ სიმენტალი და შვიცი კარგად მოერგოს ადგილობრივ პირობებს და წლების მანძილზე ჩამოუყალიბდეს იმ დაავადებების მიმართ მდგრადობა, რაც კავკასიის რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. სუფთა ჯიშის პირდაპირ შემოყვანით, ეს რისკები ძალიან მაღალია და ფაქტობრივად ეს ხერხი გაუმართლებელია.

ხორცის პირველადი საწარმო 2015 წლიდან მუშაობს. შენობა შვეიცარიული სტანდარტით, მანქანა დანადგარებითა და ქართული კანონმდებლობის შესაბამისი აღჭურვილობითაა აღჭურვილი.

შვეიცარიელი პროფესიონალი ვეტერინარის, ჰიგიენის სპეციალისტისა და ყასბების მეთვალყურეობითა და სეს-თან მჭიდრო თანამშრომლობით, საწარმოში ხდება პირუტყვის დამზოგველი მეთოდებით დაკვლა და შემდგომი დამუშავება. მაღალი სტანდარტების მაცივრებში დაყოვნება და მაცივარი მანქანით თბილისის მაღაზიისთვის მიწოდება.

„ბლაუნშტაინ საქართველოს“ ხორცის პირველადი დამუშავების საწარმო არის პირველი ობიექტი საქართველოში, რომელმაც ე.წ. „დავარგებული ხორცის“ წარმოება დაიწყო.

ეს არის უსტრესო გარემოში დაკლული პირუტყვის ხორცი, რომელიც, 21 დღის მანძილზე ყოვნდება შესაბამის მაცივარში. მაცივრის ტენიანობა, ტემპერატურა და ქარის დაბერვის სიჩქარე მკაცრად კონტროლდება. 21 დღიანი დაყოვნების შემდეგ ხორცი ხდება უფრო რბილი, საგემოვნო თვისებები მკვეთრად გაუმჯობესებული. ხოლო ზედმეტი წყალი და მინარევები ხორციდან გამოდის.

იქედან გამომდინარე, რომ ასეთი პროდუქტი ქართულ რეალობაში არ არსებობდა, ჩვენ შევიმუშავეთ ტექნოლოგიის შიდა სტანდარტი, რომელსაც თან დავურთეთ დამწიფებული ხორცის ანალიზები (9 კვირამდე) და ფაქტობრივად შევქმენით ახალი პროდუქტი.

შიდა სტანდარტის შექმნისას ვითანამშრომლეთ როგორც სეს-თან, ასევე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიასთან.

მაღაზიაში შვეიცარიული რეცეპტებით დამზადებულ პროდუქტებს შეხვდებით. ჩვენ არ ვიყენებთ კონსერვანტებსა და ქიმიურ დანამატებს. პროდუქციის შენახვის ვადა შეზღუდულია. სწორედ ამიტომ ყოველკვირეულად ხდება წარმოება და მომხმარებელამდე ყოველთვის ახალი და ძალიან მაღალი ხარისხის პროდუქცია მიდის.



შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“
LTD „Blauenstein Georgia“

კომპანიამ ფერმიდან მომხმარებლის კალათამდე ჯაჭვის შესაქმნელად 36 000 000 ლარის ინვესტიცია უკვე ჩადო.

ამჟამად კომპანიას 600 მდე სული პირუტყვის ყავს. თანამშრომლობს 3 პარტნიორ ფერმასთან.

აქვს 2 საფირმო მაღაზია .

მიმდინარეობს მეღორეობის ფერმის მშენებლობა, რომელიც 4 000 000 ლარის ინვესტიციას გულისხმობს.

2020 წლისათვის კომპანია „ბლაუნშტაინ საქართველოს“ სუფთა ჯიშის შვიცისა და სიმენტალის პირუტყვი ეყოლება.

დირექტორი: თათია არაბიძე



2. საქმიანობის ანგარიში

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“ დაფუძნებულია 2007 წლის 17 აპრილს. იურიდიული მისამართია ონის რაიონი სოფ. შარდომეთი. კომპანიის ფაქტიური მისამართებია: ონის რაიონი სოფ. შარდომეთი; ონის რაიონი სოფ. სორი, თბილისი, წერეთლის გამზირი #67, ფალიაშვილის ქუჩა #67.


კომპანიის დამფუძნებლები არიან: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ინთერნეშენალ ეთიკ ფარმ ქონსეფტ ინკ.", პანამა, (ს.კ.1714730) 50 % წილი; ნორბერტ მაქს ბლაუენშტაინი (საქართველო, შვეიცარია პ.ნ. 01801132941) 15% წილი და ირაკლი კერვალიშვილი (პ.ნ. 01008002113) 35 % წილი.

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.


შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს დირექტორად არჩეულია თათია არაბიძე (18001013008).

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (მეცხოველეობა), სოფლის მურნეობიდან მიღებული პროდუქტების გადამუშავება/წარმოება და რეალიზაცია. ძირითად პროდუქტს წარმოადგენს ნატურალური ხორცი და ხორცპროდუქტები.


1. საოპერაციო შემოსავლები 2017-2018 წლებში:






2. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2017-2018 წლებში




3. ორგანიზაციული სტრუქტურა.







4. მენეჯმენტის ხელფასის წილი ჯამურ სახელფასო განაცემში 2017-2018 წწ.



5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

2018 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები:

- მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი = $\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} =$

$$\frac{4,008,868}{65,883} = 60,85$$

- აქტივების ბრუნვა = $\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{1,524,431}{15,999,095} =$
=0,1

- ძ. ს. გამოყენების ინტენსივობა = $\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{ძ.საშუალების ღირებულება}} = \frac{1,524,431}{10,555,083} =$
=0,14

6. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს უახლოესი პერსპექტივაა მეღორეობის ფერმის ამოქმედება, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. ასევე გრძელდება მესაქონლეობის განვითარება და უახლოს მომავალში იგეგმება სუფთა ჯიშის შვიცისა და სიმენტალის (შვეიცარიული ჯიშები) პირუტყვის გამოყვანა.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2019 წლის 15 აგვისტოს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ნანა ხინჭლაშვილი

30.09.2019 წ.

6. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“-ს უახლოესი პერსპექტივაა მეღორეობის ფერმის ამოქმედება, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. ასევე გრძელდება მესაქონლეობის განვითარება და უახლოს მომავალში იგეგმება სუფთა ჯიშის შვიცისა და სიმენტალის (შვეიცარიული ჯიშები) პირუტყვის გამოყვანა.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2019 წლის 15 აგვისტოს.

დირექტორი

თ. არაბიძე



თათია არაბიძე

30.09.2019 წ.

მთავარი ბუღალტერი



ნანა ხინჭლაშვილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბლაუენშტაინ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2. დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
4. სრული შემოსავლების ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცების თაობაზე

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს მშპ „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს (ს/კ 237978364) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მის მიერ წარმოდებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე, გონივრულ მსჯელობასა და შეფასებებზე;

განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასის მიხედვით

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

კომპანიაში უფუქტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმენას რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად.

მშპ ბლაუენშტაინ საქართველო

დირექტორი



თათია არაბიძე

2. დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 498,530 ლარს (452,013 ლარს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, ალტერნატიული მეთოდებით მიგვეღო რწმუნება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასეულობების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შედეგად ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 10,555,083, ლარს (9,898,196 ლარს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, რომ მიგვეღო რწმუნება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების რეალურად არსებულ რაოდენობებზე და ღირებულებაზე, რაც აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-გან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ წლიური ანგარიშგება იქნება ხელმისაწვდომი ამ აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ .

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ ადგილი ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა: ·

✓ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან

✓ მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი

თამაზ აბუსერიძე

.....

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

თამაზ აბუსერიძე

.....

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით

2019 წლის 30 სექტემბერი

გარიგების პარტნიორი

თამაზ აბუსერიძე

...*ბ. ა. აბუსერიძე*...

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით

2019 წლის 20 სექტემბერი



მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა "ზუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ ადგილი ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება "ზუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა:

✓ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან

✓ მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია "ზუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი

თამაზ აბუსერიძე

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით



თ.ა.ბუსერიძე.....

3.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“

ლარი

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	01 იანვარი 2017
მიმდინარე აქტივები:			
ნაღდი ფული	3,814	21,379	17,244
საბანკო ანგარიში	1,435,407	1,654,090	1,449,858
მოთხოვნა საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან	441,195	85,800	16,767
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	-	980	998
გადახდილი გადასახადები	633,616	1,420,389	1,315,503
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	995,484	85,953	87,788
სასაქონლო მარაგები	498,530	452,013	362,847
სხვა მიმდინარე აქტივები	822	391	3,473
მთლიანი მიმდინარე აქტივები	4,008,868	3,720,993	3,254,477
ძირითადი საშუალებები	9,761,397	9,896,979	7,966,400
დაუმთავრებელი მშენებლობა	793,686	1,218	635,823
არამატერიალური აქტივები	669,866	677,715	685,297
ბიოლოგიური აქტივები	1,459,163	956,173	715,801
სხვა გრძელვადიანი აქტივები	26,067	26,067	37,803
სულ გრძელვადიანი აქტივები	12,710,179	11,558,151	10,041,124
სულ აქტივები	16,719,046	15,279,144	13,295,600

მიმდინარე ვალდებულებები:

ვალდებულება საქონლის/მომსახურების

მომწოდებლებთან	51,792	65,619	46,063
ავანსად მიღებული შემოსავლები	7,629	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	6,461	75	
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	65,883	65,694	46,063
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	750,000	-	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	750,000	-	-
მთლიანი ვალდებულებები	815,883	65,694	46,063
კაპიტალი:			
საკუთარი კაპიტალი	27,541,861	24,866,233	21,132,609
გაუნაწილებელი მოგება	(11,638,697)	(9,652,782)	(5,886,523)
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი რეზერვები და დაფინანსება		-	(1,996,550)
მთლიანი კაპიტალი	15,903,164	15,213,450	13,249,537
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	16,719,046	15,279,144	13,295,600

დირექტორი

თათია არაბიძე

15.08.2019 წ.

მთავარი ბუღალტერი

ნანა ხინჭლაშვილი

მომწოდებლებთან	51,792	65,619	46,063
ავანსად მიღებული შემოსავლები	7,629	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებებო	6,461	75	
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	65,883	65,694	46,063
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	750,000	-	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	750,000	-	-
მთლიანი ვალდებულებები	815,883	65,694	46,063
კაპიტალი:			
საკუთარი კაპიტალი	27,541,861	24,866,233	21,132,609
გაუნაწილებელი მოგება	(11,638,697)	(9,652,782)	(5,886,523)
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი რეზერვები და დაფინანსება	-	-	(1,996,550)
მთლიანი კაპიტალი	15,903,164	15,213,450	13,249,537
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	16,719,046	15,279,144	13,295,600

4. სრული შემოსავლების ანგარიშგება

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“

ლარი

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავლები:		
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,524,431	1,368,910
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი		-
წმინდა ამონაგები	1,524,431	1,368,910
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	1,339,253	1,095,460
საერთო მოგება	185,179	273,449

საოპერაციო ხარჯები

სახელფასო ხარჯები	787,308	744,917
ტრანსპორტირების ხარჯები	84,031	67,943
იჯარა	37,215	56,778
რეკლამა	18,628	5,329
კომუნალური ხარჯები	76,004	69,698
კომუნიკაციის ხარჯი	8,763	5,401
დაზღვევის ხარჯი	9,496	-
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	173,117	136,105
საოფისე ხარჯები	45,752	1,649
საბანკო მომსახურების ხარჯები	22,968	14,961
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,074	862
საბიუჯეტო (საგადასახადო) ხარჯი	117,919	89,220
ცვეთა და ამორტიზაცია	387,097	364,442
რემონტი	6,022	3,316
მივლინება	-	1,426
ბიო აქტივების ხარჯი	828,989	674,580
სხვა ხარჯი	13,542	16,587

მთლიანი საოპერაციო ხარჯები	2,618,925	2,253,215
საოპერაციო მოგება/ზარალი	(2,433,746)	(1,979,765)
საპროცენტო შემოსავალი	25,331	43,008
საპროცენტო ხარჯი	13,685	
მიღებული დივიდენდი	-	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,102,830	508,338
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	666,645	341,290
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება (ზარალი)	(1,985,915)	(1,769,710)

დირექტორი

თათია არაბიძე

15.08.2019 წ.


მთავარი ბუღალტერი

ნანა ხინჭლაშვილი

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება


	2,618,925	2,253,215
საოპერაციო მოგება/ზარალი	(2,433,746)	(1,979,765)
საპროცენტო შემოსავალი	25,331	43,008
საპროცენტო ხარჯი	13,685	
მიღებული დივიდენდი	-	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,102,830	508,338
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	666,645	341,290
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება (ზარალი)	(1,985,915)	(1,769,710)

დირექტორი


 თათია არაშიძე


15.08.2019 წ.

მთავარი ბუღალტერი


 ნანა ხინლაშვილი

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
01.01.2017 წაშთი	21,132,609	(7,883,072)	13,249,537
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	3,733,623		3,733,623
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2017		(1,769,710)	(1,769,710)
31.12.2017 წაშთი	24,866,233	(9,652,782)	15,213,450
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	2,675,628		2,675,628
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2018		(1,985,915)	(1,985,915)
31.12.2018 წაშთი	27,541,861	(11,638,697)	15,903,164

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ნანა ხინჭლაშვილი

15.08.2019 წ.

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება- ზარალი	სულ კაპიტალი
01.01.2017 წაშთი	21,132,609	(7,883,072)	13,249,537
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	3,733,623		3,733,623
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2017		(1,769,710)	(1,769,710)
31.12.2017 წაშთი	24,866,233	(9,652,782)	15,213,450
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	2,675,628		2,675,628
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2018		(1,985,915)	(1,985,915)
31.12.2018 წაშთი	27,541,861	(11,638,697)	15,903,164

დირექტორი

თათია არაბიძე

15.08.2019 წ.



მთავარი ბუღალტერი

ნანა ხინჭლაშვილი

6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს „ბლაუნშტაინ საქართველო“

6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“

ლარი

	<i>31 დეკემბერი 2018 წელი</i>	<i>31 დეკემბერი 2017 წელი</i>
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	1,672,779	1,408,916
ავანსად მიღებული თანხები		
<i>სესხის პროცენტის მიღება</i>	25,331	38,613
სულ შემოსული თანხები	1,698,109	1,447,529
საოპერაციო ხარჯები:		
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(3,862,119)	(2,180,697)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(712,057)	(638,473)
სესხის პროცენტის დაფარვა	-	-
წინასწარ გადახდილი ხარჯები	(6,206)	
გადახდილი გადასახადები	709,697	(5,034)
სხვა გადახდილი ხარჯები საოპერაციო საქმიანობიდან	(10,000)	
სულ გაცემული თანხები	(3,880,685)	(2,824,204)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	(2,182,576)	(1,376,675)
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	(268,596)	(194,234)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,176,943)	(1,928,964)
სესხის ძირის დაფარვა	(12,153)	(24,554)
სესხი მიღება	742,701	
კაპიტალის ცვლილება	2,675,628	3,733,623
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	1,960,637	1,585,871

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(221,939)	209,195
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	1,675,468	1,488,688
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	160,674	158,558
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(174,982)	(180,973)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1,439,221	1,675,468

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ნანა ხინჭლაშვილი

15.08.2019 წ.

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(221,939)	209,195
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	1,675,468	1,488,688
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	160,674	158,558
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(174,982)	(180,973)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1,439,221	1,675,468

დირექტორი

თათია არაბიძე



მთავარი ბუღალტერი

ნანა ხინჭლაშვილი

15.08.2019 წ.

7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერი

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შ.პ.ს. „ბლაუენშტაინ საქართველო“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფულად ერთეულში - ქართული ლარი და მასში მოქცეულია ყველა ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. ამონაგების აღიარება

კომპანია შემოსავლებს აღირებს დარიცხვის მეთოდით ყოველდღიურად გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

3. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

4. მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. აღნიშნული თარიღიდან მოგების გადასახადადით დაბეგვრის ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. კომპანიას 2017-2018 საანგარიშო პერიოდებში დივიდენდის გაცემა არ უფიქსირდება.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

<i>ძირითადი საშუალების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
შენობები	30-50 წელი
მანქანა დანადგარები	15-20 წელი
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	10-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-15 წელი

ცვეთის თანხის აკუმულირება ხდება ცალკე საბალანსო ანგარიშებზე და არ ხდება აქტივების ღირებულების პირდაპირი შემცირება.

თუ არსებობს რამე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება შესაბამისად.

6. არამატერიალური აქტივები

ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისგან და კომპანიის საფირმო - ბრენდის ნიშნებისგან. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

არამატერიალური აქტივების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
საფირმო - ბრენდის ნიშნები	50 წელი
კომპიუტერული პროგრამები	5 წელი

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომლებიც კომპანიის მიერ გამოიყენება საქმიანობის პროცესში, საბალანსო ანგარიშებზე მათი ასახვა ხდება გამოყენების ფორმის მიხედვით (სარეალიზაციო საქონელი და საწვავ საცხები მასალები).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. მარაგი, რომელიც შედგება საწარმოს ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისგან, თავდაპირველი აღიარებისას ფასდება რეალური ღირებულებით, რომელსაც აკლდება ნაყოფის მიღების მომენტში შეფასებული გაყიდვის დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის მიერ სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხდება მათი რეალიზაციის/გახარჯვისთანავე. სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

8. ბიოლოგიური აქტივები

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასებული აქვს გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილებები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

9. სავაჭრო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი. დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

გარკვეული პერიოდულობით გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

10. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

11. ხარჯად აღიარება

მოგება ზარალის ანგარიშებში ხარჯების აღიარება ხდება მიღებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი კომპენსაციის ოდენობით.

12. ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

13. შემოსავლები 2018 წელი.

ლარი

საოპერაციო შემოსავლები	
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	1,524,431
სულ საოპერაციო შემოსავლები	1,524,431
არასაოპერაციო შემოსავლები	
დადებითი საკურსი სხვაობა	160,713
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	20,822
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	921,296
საპროცენტო შემოსავალი	25,331
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	1,128,161
სულ შემოსავალი	2,652,593

14. ხარჯები 2018 წელი

ლარი

გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,339,253
სხვა საოპერაციო ხარჯები	2,618,925
უარყოფითი საკურსო სხვაობა	175,829
საპროცენტო ხარჯი	13,685
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	490,816
სულ ხარჯები	4,638,507

15. მოგება/ზარალი 2018 წელი

ლარი

სულ შემოსავალი	2,652,593
სულ ხარჯი	4,638,507
მოგება	-1,985,915

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	51,792	65,619
შპს კონსაუდი	-	
შპს აბდ ენდ კო	4,277	
ნუგზარ ლაბაძე	1,724	2,157
შპს ჯი ეს ჯგუფი	-	2,014
შპს ეი-თიმი	1,132	
SWISSGENETICS	22,094	22,041
შპს "დოლამისი"		4,184
შპს "ეგ ბი დი		0

	1,132	
სხვა ვალდებულებები	21,434	20,201
მიღებული ავასები	7,629	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	6,461	75
სულ მიმდინარე ვალდებულებები	65,883	65,694

17. გრძელვადიანი ვალდებულებები:

ლარი	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხი (საქართველოს ბანკი)	750000	0
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	750000	0

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი

	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
მოთხოვნა საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან		
შპს დერი სტანდარტი	8,024	8,024
შპს ხეორი	53,887	73,297
შპს ჭეშორა		

	103,367	
შპს საკიშორე	78,674	
შპს გლოლა	77,378	
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	119,864	4,478
სულ მოთხოვნა საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან	441,195	85,800

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

შპს "ბომა სტუდიო"	13,825	
შპს "ეკო სმაილი"	1,609	
GUO BCC	90,261	
SCHAUER AGROTRONIC CmbH	459,794	
SWISSDESIGN LADENBAU	397,659	
შპს "ორბი საქართველო"		1,309
შპს "TODA company"		4,000
შპს "ეკო სმაილი"		1,609
Walter Wiedemann Feischerebedrafs		2,699
შპს "დათო"		18,557
შპს "დაუთა"		12,220
შპს "ჭემორა"		18,805
შპს "საკიშორე"		14,131
შპს "გლოლა"		11,783
სხვა წინასწარ გადახდილი ავანსები	32,336	841
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	995,484	85,953
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	-	980
სულ მოთხოვნები	1,436,679	172,733

19. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ლარი

	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
სასაქონლო მარაგები	4,280	26,372
ნედლეული	441,474	359,923
დაუმთავრებელი წარმოება	-	31,731
მზა პროდუქცია	52,776	33,987
სულ საქონელი	498,530	452,013

20. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

ლარი

	შენიშვნები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა - დანადგარები და ალჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე ალჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	მიწა	სულ
2017 წლის 1 იანვარი	5,644,396	635,823	2,478,660	364,603	413,590	386,730	9,923,801
შემოსავალი	2,095,031	1,169,391	89,942	33,987	90,222	-	3,478,572
გასავალი	-	1,803,996	30	-	49,319	-	1,853,345
გადაფასების რეზერვი							-
2017 წლის 31 დეკემბერი	7,739,427	1,218	2,568,572	398,589	454,493	386,730	11,549,028
შემოსავალი	30,525	792,468	130,396	42,836	57,885	-	1,054,110
გასავალი	-	-	14,500	295	25,700	-	40,495
2018 წლის 31 დეკემბერი	7,769,952	793,686	2,684,468	441,130	486,678	386,730	12,562,643
დაგროვილი ცვეთა							-
2017 წლის 1 იანვარი	642,345	-	442,341	88,611	148,281	-	1,321,578
წლის ცვეთა	160,850	-	137,921	27,171	33,966	-	359,907
გასული აქტივის ცვეთა	-	-	211	-	30,442	-	30,654
2017 წლის 31 დეკემბერი	803,195	-	580,051	115,782	151,804	-	1,650,832
წლის ცვეთა	164,021	-	145,561	30,739	34,565	-	374,887
გასული აქტივის ცვეთა	-	-	5,589	179	12,390	-	18,158
2018 წლის 31 დეკემბერი	967,216	-	720,023	146,342	173,979	-	2,007,560
საბალანსო ღირებულება							-
2017 წლის 31 დეკემბერი	6,936,232	1,218	1,988,521	282,807	302,688	386,730	9,898,196
2018 წლის 31 დეკემბერი	6,802,736	793,686	1,964,445	294,788	312,699	386,730	10,555,083

21. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

ლარი

საბალანსო ღირებულება 2017 წლის 01 იანვარი	685,297
გასული არამატერიალური აქტივები	0
შემოსული არამატერიალური აქტივები	0
მიმდინარე ცვეთა	7,582
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერი	677,715
გასული არამატერიალური აქტივები	0
შემოსული არამატერიალური აქტივები	7,438
მიმდინარე ცვეთა	15,287

საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი	669,866
--	----------------

	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
არამატერიალური აქტივები		
ლარი		
საბუღალტრო პროგრამა "ორისი"	997	1,246
პროგრამა ERP STANDARD	7,066	-
საფირმო ბრენდის - ხარისხის ნიშანი	661,803	676,469
სულ არამატერიალური აქტივები	669,866	677,715

ბიოლოგიური აქტივები		
ლარი		
	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
ფური	394061.5	727529.73
მამრი	354817.5	591447.12
დეკეული	157474.44	55834.06
ფაშატი	1000	0
ულაყი	850	0
1 წლამდე მოზარდი	47969.56	84352.49
სულ ბიოლოგიური აქტივები	956173	1459163.4

ფინანსური რისკების მართვა

ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან:

სავალუტო რისკი

კომპანიის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკურსო სხვობები.

კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ლარში. სირთულე წამოიშვება სავალუტო კურსისგან, რომელიც ჩნდება კომპანიის შენამენებიდან, რომლებიც უცხოურ ვალუტაში.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ურთიერთობა აქვს კონტრაქტორებთან რომლებსაც რიგ შემთხვევებში დარღვეული დარღვეული აქვთ კონტრაქტის პირობები და მიმდინარეობს სასამართლო დავები. ზემოაღნიშნული კონტრაქტორების სასარგებლოდ კომპანიას სადეპოზიტო ანგარიშზე დადებული აქვს თანხა 605,500 ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც წარმოადგენს საგარანტიო თანხას ბანკებთან და კონტრაქტორების მიერ სასესხო ვალდებულების არ გადახდის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიას.

22. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან შპს ცოტნე და შპს მოდგინარი, ასევე ირაკლი კერვალიშვილი 01008002113 35% წილის მფლობელი საწარმოში

საანგარიშგებო წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები:

2018

2017

ტრანზაქციის დასახელება	ურთიერთობა	ტრანზაქციის თანხა	ტრანზაქციის თანხა
სამშენებლო / სამონტაჟო მომსახურების გაწევა	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	956454	1733108
იჯარის თანხა	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	16,092	16,092

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები პერიოდის ბოლოს შემდეგნაირად გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ურთიერთობა	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	-	1,228
მაკონტროლებელი (წილის მფლობელი) იურიდიული პირი	-	1,228

წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის მიმდინარე წლის აუდიტისას მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ბალანსების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომების გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი, 2017				
კორექტირებული დასახელება	მუხლის	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელ ი შესწორება	კორექტირებულ ი თანხები
ფული და ფულის ექვივალენტები		1675472	4	1,675,468
წინასწარ გადასახადები	გადახდილი	1,420,251	-138	1,420,389

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	173,170	438	172,732
მარაგები	394,393	-57,620	452,013
ძირითადი საშუალებები	9,902,290	4,094	9,898,196
ბიოლოგიური აქტივები	1,013,978	57,805	956,173
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-391	391
მიმდინარე ვალდებულებები	67,142	1,448	65,694
საკუთარი კაპიტალი	24,867,943	1,711	24,866,233
გაუნაწილებილი (მოგება)/ზარალი	-9,651,750	1,032	-9,652,782

01 იანვარი, 2017			
კორექტირებული მუხლის დასახელება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
ფული და ფულის ექვივალენტები	1,467,104	2	1,467,102
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,315,394	(109)	1,315,503
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	129,002	23,450	105,552
მარაგები	302,532	(60,315)	362,847
ძირითადი საშუალებები	8,603,241	1,018	8,602,223
ბიოლოგიური აქტივები	776,300	60,499	715,801
სხვა მიმდინარე აქტივები	-	(3,473)	3,473
მიმდინარე ვალდებულებები	68,818	22,755	46,063
გაუნაწილებილი (მოგება)/ზარალი	(7,884,755)	(1,683)	(7,883,072)

23. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შემდეგია:

ლარი

	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	3,814	21,379
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
თიბისი ბანკი GEL	40,650	
ლიბერთი ბანკი GEL	39	
საქართველოს ბანკი GEL	85,268	255,051
სულ მიმდინარე ანგარიშებზე	125,957	287,095
სადეპოზიტო ანგარიშები		
საქართველოს ბანკი GEL	280500	805500
ლიბერთი ბანკი GEL	325000	325000
სულ სადეპოზიტო ანგარიშზე	605500	1130500
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
საქართველოს ბანკი	95	26,427
თიბისი ბანკი	703,855	
სულ უცხოურ ვალუტაში რეზიდენტ ბანკებში	703,950	236,496
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	1,435,407	1,654,091
სულ ფულადი სახსრები	1,439,221	1,675,469

შენიშვნა: სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე მოთხოვნის უფლება შეზღუდულია აქვს კომპანიას, რადგან აღნიშნული თანხები განთავსებულია კონტრაქტორების სასარგებლოდ და მათი სრულად განკარგვის შესაძლებლობა კომპანიას მიეცემა კონტრაქტორების მიერ სასესხო ვალდებულებების დაფარვის შემდგომ.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა
გასცა 2019 წლის 15 აგვისტოს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თათია არაბიძე

ნანა ხინჭლაშვილი

30.09.2019 წ.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა
გასცა 2019 წლის 15 აგვისტოს.

დირექტორი

თ. შაყ

თათია არაბიძე

30.09.2019 წ.



მთავარი ბუღალტერი

ნანა ხინჭლაშვილი

ნანა ხინჭლაშვილი